# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 254. | კვირა, 19 სექტემბერი 1904 წ. | გაზეთის № 2615.

## სიმღერა

ჟური დაგიჩნდა, სხივი ჰკრთის,
სრულად დამიჩნდი, მთვარეო!
გზა-დაკარგულსა, მტირალსა
მიშველე გამახარეო.
გაფანტე, ეგებ გზა ვნახო,
წყვდიადი მარტუავ გარეო.
აღარა ვწუევლო ეგები
ჩემი სიცოცხლე მწარეო.
გულს სწყურის გნახოს ბადრადა,
ამო, ამოჩნდი ბარეო.
ვიხილო შენი სხივები
მთა-ბარზე მოელვარეო.
გზა-დაკარგულთა, ნუგეშო
შენს სხივებს ვენაცვალეო!..

გაჟა-ფშაველა

## წიგნი

ლ. ანდრეევისა

### I

ექიმი ავადმყოფის გამხდარ მკერდს დაეყრდნო და იმის გულის ძგერას დაუგდო ყური. იმისი დიდი, უზომოდ გაზდილი გული ჩვეულებრივად არა ჰფეთქდა. იგი ხან ლუღლუღს მორთავდა, თითქოს ვინმე ქვითინებსო, ხან მძიმედ დაიწყებდა ჭრიალს. ეს ისეთი სრული და ბოროტის მორბედი სურათი იყო მოახლოვებულ სიკვდილისა, რომ ექიმმა პირველად სთქვა—„ოჰო“, მერე კი ხმა-მაღლა უთხრა:

— თქვენ აღელვებას უნდა ერიდებოდეთ. თქვენ, ალბად, რაიმე დამასუსტებელ საქმეში ხართ გართული?

— მე მწერალი ვარ,—მიუგო ავადმყოფმა და გაიღიმა:—მითხარით, საშიში ავადმყოფობაა?

ექიმმა მხრები აიწია და ხელები იქვნეულად გაშალა.

— საშიშია ისე, როგორც ყოველი ავადმყოფობა. ასე თხუთმეტ-ოც წელიწადს კიდევ იცოცხლებთ; ხომ გეყოფათ?—წაეხუმრა ექიმი და, ნიშნად მწერლობის პატივისცემისა, მოეხმარა ავადმყოფს პერანგის ჩაცმაზე. როდესაც პერანგი ჩაიცვა, იმის სახეს ცოტა მო-



გენ. თავ. პ. სვიატოპოლკ-მირსკი,
შინაგან საქმეთა ახლად დანიშნული მინისტრი.



ვიცე-ადმირალი როჟდესტვენსკი,
შორეულ აღმოსავლეთის მეორე ესკადრის უფროსი.



კონტრ-ადმირალი ვირენი,
პორტ-არტურში მყოფ გემების უფროსი.

ლურჯოფერი დაედო: ამ დროს არ შეიძლებოდა გაეგო კაცს, ყმაწვილი იყო, თუ ღრმა მოხუცი. იმისი ტუჩები ალერსიანად, მაგრამ უნდობლად კიდევ იღიმებოდნენ...

— გმადლობთ კეთილის სიტყვებისათვის,—უთხრა მწერალმა.

მან თითქოს ბრალდებულსავით თვალები აარიდა ექიმს, შემდეგ თვალებით დიდხანს ეძებდა ადგილს, სადაც უნდოდა ექიმისათვის ფული დაედო. ბოლოს, როდესაც საწერ სტოლზე საწერლისა და საკალმო პატარა კოლოფს შუა მომარჯვებული, მყუდრო ადგილი მოათვალთვალა, დასდო ქაღალდის სამმანეთიანი მომწვანო ფული, ძველი, ფერ-წასული, დაცრეცილი ნაკეცებით.

„ახლა, მგონი, ამეებს ახლებს აღარ აკეთებენ“, — გაიფიქრა ექიმმა მომწვანო ქაღალდის დანახვაზე და როგორღაც მწუხარედ დააქნია თავი.

ხუთის წამის შემდეგ ექიმი ისმენდა სხვა ავადმყოფის გარემოებას, მწერალი კი ამ დროს ქუჩაში მიდიოდა. იგი თვალებს ვერ უმართავდა გაზაფხულის მზის სხივებს და ფიქრობდა: „გაზაფხულზე ყველა ქერა



გენერალი ნ. ორლოვი.
დაიჭრა 21 აგვისტოს იანტაისთან ბრძოლაში.

კაცი რისთვის რჩეობს იმისთანა ადგილს, სადაც სულ ჩრდილია, ზაფხულში კი, როდესაც სიცხეა,—მზის გულს? ექიმიც ქერაა; იმას რომ ეთქვა, ხუთი ან ათი წელიწადი, კიდევ ჰო, მაგრამ ოცი—სჩანს, მალე მოვკვდები. ცოტა არ იყოს, საშიშია, მაგრამ“...

ავადმყოფი ჩააკვირდა თავის გულის თქმას და ბედნიერად გაიღიმა.

„როგორ ანათებს მზე! თითქოს ახალგაზრდა იყოს, თითქოს უნდოდეს გაცინება-ჩამოსვლა დედამიწაზე“.

## II

ხელთნაწერი სქელი იყო და შესდგებოდა მრავალ ფურცლებისაგან. თითო ფურცლის გვერდი გავსებული იყო წვრილად დაწერილ სტრიქონებით, თვითო სტრიქონი შეადგენდა მწერლის სულის პატარ-პატარა ნაწილს. გამხმარის ხელით იგი სასოებით ფურცლავდა თავის ხელთნაწერს. თეთრი ქაღალდის შუქი სცემდა იმის სახეს. მახლობლად დაჩოქილი ცოლი იყო: სტიროდა, ჰკოცნიდა ხმის გაუცემლად იმის მეორე თხელ, გამხდარ ხელს.

— ნუ სტირი, ჩემო,—ევედრებოდა ის.—რა არის სატირალი!?

— შენი გული... მე მარტო ვრჩები მთელ ქვეყანაზე. მხოლოდ ერთი, ოჰ, ღმერთო!

მწერალმა დაუსვა ხელი მის მუხლებზე დაყრდნობილ თავს და უთხრა:

— შემომხედე.

ცრემლები უშლიდნენ. ხელთნაწერის სტრიქონები იმის თვალებში ხან ტალღებივით დასცურავდნენ, ხან გასწყდებოდნენ და ხან ერთბაშად შეერთდებოდნენ...

— შემომხედე!—იმეორებდა ის:—აი, ჩემი გული. ეს მუდამ შენთან იქნება.

შესაბრალებელი იყო, როდესაც მომაკვდავი ცხოვრებას თავის წიგნში ეძებდა. იმას უნდოდა ცოცხალი გული, და არა მკვდარი წიგნი, რომელსაც ყველა კითხულობს: სულ უცხოები, გულ-გრილები და უსიყვარულოები.

## III

დაიწყეს წიგნის ბეჭდვა. წიგნს სახელად ერქვა „უბედურთა დასაცველად“. ასოთა ამწყობებმა გაიყვეს ხელთ-ნაწერი ნაწილ-ნაწილად. ყველა შეუდგა თავ-თავის ნაწყვეტისათვის ასოების აწყობას. თვითეული ქაღალდის ნახევი ზოგჯერ ნახევარ სიტყვით იწყებოდა, ასე რომ აზრი იკარგებოდა. მაგალითად სიტყვა „სიყვარული“: „სიყვა“ რჩებოდა ერთ ამწყობს და „რული“ კი მეორეს. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ისინი არასოდეს არა კითხულობდნენ იმას, რასაც აწყობდნენ.

— აი, გამოაჩერჩეტა ღმერთმა ის მწერალი! რა ეშმაკური ნაჯღაბნია!—სთქვა ერთმა და მოჭმუხვნილმა ჯავრით და მოუთმენლობით მიიფარა თვალებზე ხელები.

იმისი ხელის თითები ტყვიის მტვრით იყო გაშავებული, იმისი ყმაწვილური პირისახე დაფარული იყო ტყვიისავე მოშავო მტვრით. როდესაც ჩაახველა და გააფურთხა, იმისი ნახველი შეღებილი იყო იმავე მოშავო და სამარისებურის ფერით.

მეორე ასოთ-ამწყობი, ისიც ყმაწვილი—იქ მოხუცებულები არ იყვნენ—სწრაფად და მაიმუნისებურ სიმარჯვით იჭერდა საჭირო ასოებს და ჩუმად ღიღინებდა:

„ეი, ჩემო შავო ბედო,
ჩემო ცვირთო თუჯისაო“...

შემდეგი სიტყვები ლექსისა აღარ იცოდა, ჰანგი—კი იმას თავისებური ჰქონდა, ერთნაირი სევდიანი, როგორც შემოდგომის ფოთლებში ქარის შრიალი.

დანარჩენები გაჩუმებულნი იყვნენ, ახველებდნენ და აფურთხებდნენ მოლურჯო ნახველს. თვითეულ მათგანს ენთო ელექტრონის ლამპა; იმათ მახლობლად, კედლის-იქით, მავთულის



პორტ-არტურის ერთ-ერთ სიმაგრის აღება იაპონელების მიერ.

ბადიდან გამოსჩანდა მრავალ შესვენებულ მანქანის აჩრდილები. თითქოს ვიღაცას ელიანო, ისე იშვერდნენ ნასკვებიან შავ ხელებს, მძიმედ და პირქუშ ხროვად აწვებოდნენ გაკუპრიანებულ იატაკს.



ბრძოლის შემდეგ. რუსისა დ იაპონიის ჯარის კაცნი.



რუსის ახალი ჯარის მოსვლა მუკდენში.

## IV

წიგნები თაროზე აჰრელებულ წყობებად ელაგა. წიგნებს იქით არა სჩანდა კედელი; წიგნები მაღალ ხროვად ეწყო იატაკზე. მაღაზიის უკანაც, ორ ბნელ ოთახში, ეწყო სულ წიგნები და წიგნები. ცხადი იყო, რომ მდუმარედ ღელავდა, გარედ იწევდა წიგნებში ჩაკრული ადამიანის აზრი. ამ წიგნების სამეფოში არასოდეს არა ყოფილა სიწყნარე და ნამდვილი სიჩუმე.

წვერებ-ჰალარა უფროსი, კეთილ-შობილის პირის გამოხატულებით, მოწიწებით ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, დაბალის ხმით შეუკურთხა „რეგვნებოო!“ და დაიყვირა:

— მიშკა! როდესაც ბავშვი შემოვიდა, უფროსის კეთილ შობილურმა სახემ მრისხანე გამომეტყველება მიიღო. მძვინვარეთ დაემუქრა თითით: — შენ რამდენჯერ უნდა გიყვირონ, შე ბილწო, შენა!

ბავშვი შეშინებული ახამ-ხამებდა თვალებს. წვერებ-ჰალარა უფროსი დამშვიდდა. ფეხით და ხელის მიშველებით გამოსწია მძიმე წიგნების კონა, სცადა აეწია ერთის ხელით, მაგრამ ერთბაშად აწევა ვერ შესძლო და იქვე იატაკზე დაავდო.

— აი მიუტანე ეს ეგორ ივანიჩს!

ბავშვი ჩააფრინდა ორივე ხელით წიგნების კონას, მაგრამ ვერ აიღო.

— სწრაფად! — დაუყვირა უფროსმა.

ბავშვმა აიღო წიგნები და წაიღო.

## V

მიშკა ქუჩის ნაპირას ქვა-ფენილზე მიდიოდა. იგი ყველა გამვლელს ეჯახებოდა, რისთვისაც შუა ქუჩისკენ გადაავდეს. შუა ქუჩაში მოყვითანო, სილასავით მოლიპული, თოვლი იდო. მძიმე წიგნების კონა აწვებოდა მიშკას ზურგს ისე, რომ ბარბაცებდა. წამდაუწუმ მეეტლები უყვიროდნენ. როდესაც მიშკამ მოიფიქრა, რა დიდი მანძილი აქვს კიდევ გასავლელი, იმის გონებაში უცბად გაიელვა იმ აზრმა, რომ ახლავე მოკვდება. ჩამოიღო წიგნები, იქვე მიწაზე დასდო, დააცქერდა და დაიწყო ტირილი.

— შენ ეი, რა გატირებს? — ჰკითხა გამვლელმა.

მიშკა სტიროდა. მალე შეგროვდა ხალხი. მოვიდა გულმყრალა პოლიციელი ხმლით და რევოლვერით. ჩასვა მიშკა ეტლში და წიგნებიანად წაიყვანა პოლიციაში.



იაპონიის საპიორები მაღაროებს უთხრიან პორტ-არტურის სიმაგრეებს ნაღმის ჩასაწყობად.

— რა ამბავია მანდ? — იკითხა პოლიციის მორიგმა მოხელემ, როდესაც მოშორდა ქალალდს, რომელსაც ადგენდა.

— შეუფერებელი ტვირთია, თქვენო კეთილშობილებავ!— მიუგო გულ-პილწმა პოლიციელმა და წაჰკრა მიშკას ხელი, რომ წინ წაეწია.

პოლიციის მოხელემ ჯერ ერთი ხელი ასწია ზევით, მერე მეორე, ასე რომ ვარჯიშობის დროს სახსრებმა ტკაცა-ტკუცი მორთეს. შემდეგ რიგ-რიგად სჭიმავდა ფეხებს ფართო, გაპრიალებულ წაღებში. უყურებდა ბავშვს ხან გვერდიდან, ხან თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერებდა. შემდეგ კითხვა-კითხვაზე მიაყარა.

— ვინ? საიდან? წოდება? რა საქმისთვის?

მიშკაც მწყობრად აძლევდა კითხვებზე პასუხს:

— მიშა, გლეხი, თორმეტის წლისა; ხაზეინმა გამომგზავნა.

პოლიციის მოხელე მივიდა წიგნების კონასთან. სიარულის დროს კიდევ იჭიმებოდა. ხან უკან სტოვებდა ფეხებს, ხან წინ გამოსჭიმავდა მკერდს. მერე ამოასლოკინა და მსუბუქად ასწია წიგნები.



ქალბატონი მოსამსახურეს: დღეს უნდა წაბრძანდე ჩემი სახლიდან. შენი ხუთი თუმანი მმართებს. აი ათი თუმნის ვექსილი; ხუთი თუმანი მე მერგება და მომეცი.

— ოჰო,—სთქვა იმან კმაყოფილად. ქაღალდი, რომელიც წიგნებსა ჰქონდა შემოხვეული, გახეულიყო. პოლიციის მოხელემ გადაჰკეცა ნაპირა ქაღალდი და წაიკითხა სათაური: „უბედურთა დასაცველად“.

— აბა, შენ!— დაუძახა იმან მიშკას თითით:—წაიკითხე.

მიშკამ თვალები დაახამხამა და მიუგო:

— მე კითხვა არ ვიცი.

მოხელემ გაიცინა:

— ჰა, ჰა, ჰა!

მოვიდა პირ-მოპარსული მეპასპორტე. ჩაასლოკინა მიშკას, რომელსაც არაყისა და ხახვის სუნი ეცა. მეპასპორტემაც გაიცინა:

— ჰა, ჰა, ჰა!

შემდეგ შეადგინეს ოქმი. მიშკამ ოქმის ბოლოში ჯვარი მოხაზა.

ბედტუებელი.




აი რა მდგომარეობაშია ტფილისის გამგეობის საქმეები!.. რაღა გასაკვირველია, რომ საქმეს დროზედ ვერ აკეთებენ!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Доз. цен. Тифлисъ, 17 Сентября 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ის